კვირა,

26 მარტი, 1961 წ.

№ 37 (1673)

გამოცემის მე-17 წელი

ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

# მივესალმებით ჟურნალ „სპორტს"

რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის საქმეს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი, მასობრივი სანახაობის, ყველასათვის ხელმისაწვდომი ობიექტი შეემატა — მუშაობა დაიწყო ტელეჟურნალმა „სპორტმა".

აი, ერთ დღეს ჩვენ ჩავრთეთ ტელევიზორი დანიშნულ დროს და გაისმა დიქტორის ხმა: „ვიწყებთ სატელევიზიო სპორტული ჟურნალის „სპორტის" მეორე ნომერს". 25 წუთის განმავლობაში გატაცებით ვუყურებდით პატარა ეკრანს. როდესაც ჩვენება დამთავრდა, გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ყველა ერთ დასკვნამდე მივიდა: ჟურნალი გემოვნებით არის დაგეგმილი, უდავოდ ეტყობა სპორტის მცოდნე რედაქტორის ხელი. 25 წუთის განმავლობაში ჩვენ ვნახეთ მასობრივი მუშაობა — კიროვის სახელობის ქარხნის სპორტული კლუბი „გამარჯვება", სპორტი — ოლიმპიური ჩემპიონის ა. ქორიძის სპორტული გზა. ვნახეთ ოპერატიული, მამხილებელი მასალა, პასუხები მკითხველთა შეკითხვაზე... ჟურნალმა უდავოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

მაგრამ ჩვენ გვინდა რამდენიმე შენიშვნა გავაკეთოთ. ჟურნალს შეუძლია რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის პოპულარიზაციაში დიდი წვლილი შეიტანოს. ამიტომ მისი პერიოდულობა (თვეში ერთხელ) არავითარ შემთხვევაში დამაკმაყოფილებელი არ არის. კვირაში ერთხელ მაინც ჟურნალ „სპორტს" უნდა უყურებდეს ტელემაყურებელი. ასეთი პერიოდულობით იგი უფრო ოპერატიული, საინტერესო და ყველასათვის საყვარელი გახდება. თვის პირველ რიცხვებში ჩატარებული ღონისძიებების ნაწყვეტების ჩვენება თვის ბოლოში ჟურნალის ავტორიტეტს ამცირებს.

ჩვენ არ ვიცნობთ ჟურნალის მომავლის გეგმებს. მაგრამ გვინდა აღვნიშნოთ ის საკითხები, რომლებიც მან უნდა გაითვალისწინოს. პირველი და მთავარი არის, სოფლის ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობის გაშუქება. ტელესტუდიის თანამშრომელთა ჩასვლა კინოაპარატით სოფლად, მათი ცხოვრების გემოვნებით ასახვა ერთ სატელევიზიო ნარკვევში სტიმულს მისცემს სხვას. ამას გარდა, საჭიროა ეკრანზე ვიხილოთ სპორტსმენები. თვითონ ისინი უნდა გაესაუბრონ მაყურებლებს. ჩვენ გვესმის, რომ ეს ძნელია, სამაგიეროდ საერთო საქმეს — ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობას დაეხმარება.

ხშირად უნდა ვიხილოთ ეკრანზე ჩვენი ვეტერანები, ისინი, რომლებმაც ქართული სპორტი აქამდე საკუთარი მხრებით მოიტანეს. საზოგადოებრიობა ახლო გაეცნობა მათ, რომელთაც მანამდე პრესის მშრალი სტრიქონებით იცნობდა.

როგორც აღვნიშნეთ ჟურნალს ატყვია სპორტის მცოდნე რედაქტორის ხელი, მაგრამ ტერმინოლოგიაში აქა იქ მაინც გაპარულა ლაფსუსები. სპორტის დამსახურებული ოსტატის მ. ჭულელის ნორჩ ტანმოვარჯიშეთა ჯგუფის ჩვენების დროს დიქტორი აცხადებდა „შპაკატზე დგება", „ხიდზე გადადის", უნდა იყოს ზონარას, ხიდს აკეთებს ან ასრულებს. საერთოდ სპორტული ტერმინოლოგიის საკითხში ჩვენ ყველა ვცოდავთ, რადგან დღემდე არ გვაქვს საჭირო სახელმძღვანელო. ამიტომ საჭიროა უკვე დადგენილ ტერმინების გაცნობა და გამოყენება.

დასამალი არაფერია, რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის საკითხი არა დგას სათანადო სიმაღლეზე. ამიტომ მივესალმებით ყველას, ვინც ამ საქმეში ხელს გამოგვიწვდის, მივესალმებით ტელეჟურნალს—„სპორტს".

## პროფკავშირთა მრავალმილიონიან კოლექტივებში

მოსკოვში, კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში მუშაობა დაამთავრა პროფკავშირთა ნებაყოფლობით სპორტული საზოგადოებების ცენტრალური საბჭოს თათბირმა ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე. მოხსენებით გამოვიდა პროფკავშირთა ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ი. ზუბკოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ საფაბრიკო-საქარხნო და სასწავლო დაწესებულებების ფიზკულტურული კოლექტივები ჩვენს ქვეყანაში აერთიანებს 10 მილიონ ფიზკულტურელს.

პროფკავშირების ფიზკულტურულ კოლექტივებში წინა წლებთან შედარებით მეტი ყურადღება დაეთმო საწარმოო ტანვარჯიშსა და ტურიზმს — ხალხთა მასობრივი ფიზიკური წრთობის ამ საუკეთესო საშუალებებს. გასულ წელს წარმოებებსა და დაწესებულებებში საწარმოო ტანვარჯიშს მისდევდა 7,5 მილიონი მშრომელი.

მომხსენებელმა ილაპარაკა სპორტული კლუბების მუშაობის დადებით გამოცდილებაზე, VII საკავშირო სპარტაკიადის ამოცანებზე და სხვ. აღნიშნა, აგრეთვე პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების საკავშირო, რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო, რაიონული და ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობაში არსებული მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. გრიშინმა, საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მდივანმა ა. შევჩენკომ, საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ნ. რომანოვმა.



თბილისში დაიწყო საქართველოს 1961 წლის პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის.

* * *

სურათზე: ი. გედენიძისა და ბ. კალანდარიშვილის შეხვედრა. მარჯვნივ დგას სპორტის ოსტატი ნ. გაფრინდაშვილი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## მოცურავეთა რეკორდები

კიევისა და ლენინგრადის მოცურავეთა შეხვედრისას კიეველმა ნორჩმა სპორტსმენებმა დაამყარეს ორი საკავშირო რეკორდი ჭაბუკებისათვის. 100 მეტრზე დელფინის სტილით გაცურვაში ვ. ბოროდიჩკამ უჩვენა შედეგი — 1.06,6. ასეთივე მაღალი შედეგი აჩვენა ო. კირდამ, რომელმაც ეს დისტანცია ბრასის სტილით განვლო 1.16,0 წუთში.

მოსკოვში, „ტრუდის" მოცურავეთა საკავშირო პირველობაზე ბრწყინვალედ დაფარა 200-მეტრიანი დისტანცია მოსკოველმა სპორტის ოსტატმა ა. გოლოვჩენკომ. ბრასის სტილით მან ამ მანძილზე აჩვენა 2.34,4 წუთი. ეს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია 25-მეტრიანი აუზებისათვის.

## ცსკა—ჩემპიონი

შეხვედრა შაიბიან ჰოკეიში მოსკოვის ცსკა-ს და გორკის „ტორპედოს" შორის არ იყო კალენდრით გათვალისწინებული უკანასკნელი შეხვედრა. მოსკოველებს ორი მატჩი რჩებოდათ ჩემპიონატის დასასრულამდე, ხოლო გორკელებისათვის ეს იყო უკანასკნელი თამაში და ამასთან — უკანასკნელი შანსიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად. მოსკოველებისათვისაც სწორედ ამ მატჩში შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო ჩემპიონობის ბედი; მოგების შემთხვევაში ისინი უკვე ინაღდებდნენ უძლიერესთა წოდებას. არმიელებმა შეხვედრა დიდი აღმავლობით ჩაატარეს და დიდი ანგარიშითაც დაამარცხეს კონკურენტები — 8 : 1. ამრიგად, მოსკოვის ცსკა გახდა საბჭოთა კავშირის 1961 წლის ჩემპიონი შაიბიან ჰოკეიში. ეს წოდება მან უკვე მეცხრედ მოიპოვა.

## ფინალის წინ

22 მარტს მოსკოვში, სპორტის სასახლეში დაიწყო მოკრივეთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი 120 სპორტსმენს შორის. ჩემპიონატში ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობდნენ: გ. ჩობანიანი (უმჩატესი წონა), ვ. პოპანდოპულო (მჩატე წონა), ე. მანდალიანი (ქვემსუბუქი წონა), ვ. ქველიაშვილი (პირველი საშუალო წონა) და რ. აკოფოვი (მეორე საშუალო წონა). ჩვენი მოკრივეების მოსკოვში გამგზავრების წინ ჩვენ ვესაუბრეთ წარსულში ცნობილ მოკრივეს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს გ. ვართანოვს საქართველოს მოკრივეთა შანსების შესახებ ამ ჩემპიონატში.

— მთავარია, — განაცხადა მან, — ბიჭებს კარგმა კენჭისყრამ მოუწიოს. მაგალითად, პირველსავე წრეში თუ შეხვდა უდავოდ ნიჭიერი მოკრივე პოპანდოპულო ვთქვათ ოლიმპიური თამაშების პრიზიორს ს. სივკოს, წარმატებაზე ფიქრი ასეთ შემთხვევაში ძნელია.

მწვრთნელის სიტყვები გამართლდა. საკავშირო პირველობის დებიუტანტი ვ. პოპანდოპულო პირველსავე წრეში შეხვდა ს. სივკოს. ახალგაზრდა მოკრივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ბრძოლა ჩაატარა უაღრესად ტექნიკურად. ძლიერი მეტოქის წინაშე იგი იდგა როგორც თანაბარი. სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. ტიმოშინის აზრით, პოპანდოპულომ წაგების მიუხედავად აჩვენა ნამდვილი თანამედროვე კრივი.

იგივე სურათი განმეორდა სხვა შეხვედრებშიც. გ. ჩობანიანი დამარცხდა მოსკოვის ჩემპიონ ვ. ჩერნისთან. ე. მანდალიანმა წააგო შეხვედრა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პრიზიორ ს. სტეპაშკინთან. რ. აკოფოვისა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორის ფეოფანოვის ბრძოლა მოიგო უკანასკნელმა მეორე რაუნდში აშკარა უპირატესობით.

მეოთხედფინალში ვ. ქველიაშვილის მოწინააღმდეგე იყო შუააზიელი სპორტის ოსტატი ი. ბუდმანი. შეხვედრა თბილისელმა მოკრივემ მესამე რაუნდში ნოკაუტით წააგო.

გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები ყველა წონით კატეგორიაში. ესენი არიან: უმჩატეს წონაში — რუშანსკი, ბისტროვი, სტოლნიკოვი, სოროკინი, მჩატე წონაში — მინასიანი, სივკო, სმირნოვი, პუუსეპი, ქვემსუბუქ წონაში — სტეპაშკინი, ზასუხინი, გრიგორიანი, ლაგეტკო, მსუბუქ წონაში — ასანოვი, კაკოშკინი, ბარანიკოვი, მაჩიგინი, პირველ ქვესაშუალო წონაში — ფროლოვი, ტუმინში, დობრინსკი, დურნევი, მეორე ქვესაშუალო წონაში—შეინკმანი, ავდეევი, ტამულისი, პოპლოვი, პირველ საშუალო წონაში—ლაგუტინი, ბუდმანი, პოზნიკი, კამინსკი, მეორე საშუალო წონაში — კორომისლოვი, პოპენჩენკო; ფეოფანოვი, ნოვიჩკოვი, ქვემძიმე წონაში — ილჩენკო, პოზნიაკი, პიჩკოვი, კოზლოვსკი, მძიმე წონაში— ლანცერსი, აბრამოვი, ემელიანოვი, ივანოვი.

## სპორტული ქრონიკა

**ქსოვრისის** საშუალო სკოლის პირველობა კალათბურთში მოიგეს მე-9 კლასის ვაჟთა და მე-8 კლასის გოგონათა გუნდებმა.

**ნ. ლოხიშვილი**

**გამარჯვების** (წითელწყაროს რაიონი) საშუალო სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა პირველობა ფრენბურთში, კალათბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში. კალათბურთსა და ფრენბურთში უძლიერესნი იყვნენ მეცხრეკლასელები, მაგიდის ჩოგბურთში გაიმარჯვეს მეათეკლასელებმა.

**ფ. ბადაშვილი**

**ყვარელში** „კოლმეურნის" რაისაბჭოს მოწვევით ჩამოვიდნენ ახმეტის „კოლმეურნის" ფრენბურთელთა და ქართულ მოჭიდავეთა გუნდები. ფრენბურთში გაიმარჯვეს მასპინძლებმა, ჭიდაობაში — სტუმრებმა.

**ახალსოფელში** (ყვარლის რაიონი) გაიმართა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში. გამარჯვებისათვის იბრძოდა 10 გუნდი. პირველობა მოიპოვა მასპინძელთა კოლექტივმა.

**გ. გურასპიშვილი**

**ხულოს** რაიონის მოსწავლეთა შეჯიბრება სათხილამურო სპორტში მოეწყო სოფ. ქედლების მიდამოებში. 10 კმ რბენა მოიგო შ. პაქსაძემ. სწრაფდაშვება — ა. ქორძენიძემ. თხუთმეტმა მოსწავლემ შეასრულა სათანრიგო ნორმატივი.

**ი. ბეჟირიშვილი**

## ნორჩები ფარებთან

მოეწყო „ნორჩი დინამოელის" კალათბურთელთა სკოლის ტურნირი, რომელშიც გაიმარჯვა № 4 გუნდმა. ამ კოლექტივმა შეჯიბრება წაუგებლად ჩაატარა და 20 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზეა გუნდი № 6, ხოლო მესამეზე — გუნდი № 7.

საპრიზო ადგილებზე გამოსულ კოლექტივებს გადაეცათ „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს სიგელები. სიგელით დაჯილდოვდა აგრეთვე გუნდი № 6, რომელმაც აჩვენა კოლექტიური დაცვის საუკეთესო მაგალითი და რომელმაც თავის კალათში ბურთების ნაკლები რაოდენობა მიიღო. № 4 გუნდის წევრი ზ. შავდია აღიარებულ იქნა ტურნირის საუკეთესო მცველად, იგი დაჯილდოვდა სპეციალური სიგელით.

სულ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 11 გუნდის 90 კალათბურთელი. მსაჯთა ბრიგადა, რომელიც ემსახურებოდა ტურნირს, დაკომპლექტებული იყო სკოლაში მომეცადინე ნორჩი კალათბურთელებით.

**ო. ქორქია,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

* * *





**სურათებზე:** სპორტის ოსტატი ა. მეხი ესაუბრება ნორჩ კალათბურთელებს. მარჯვნივ თქვენ ხედავთ შეჯიბრების ერთ-ერთ მომენტს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## სპორტკავშირების კონფერენციები

### თბილისი

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჩვენს დედაქალაქს. გასულ წელს თბილისელმა სპორტსმენებმა შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს, განსაკუთრებით აღსანიშნავია რ. შავლაყაძის და ა. ქორიძის გამარჯვება რომის ოლიმპიურ თამაშებზე. მსოფლიო სპორტსმენთა ამ უდიდეს შეჯიბრებაში საპრიზო ადგილები მოიპოვეს გ. ჩიქვანაიამ, ლ. გოგოლაძემ, გ. მინაშვილმა, ვ. უგრეხელიძემ, გ. კარტოზიამ, ვ. რუბაშვილმა, გ. კოსტავამ. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ მოჭიდავეები დ. გვანცელაძე, მ. ღუდუშაური, რ. აბაშიძე, ო. კანდელაკი, გ. სხირტლაძე, შტანგისტი რ. ჩიმიშკიანი და სხვები. გასულ სპორტულ სეზონში წარმატებით გამოვიდნენ დედაქალაქის „დინამოს" წყალბურთელები, კალათბურთელები და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები. აღნიშვნის ღირსია ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტული კლუბი, რომელმაც მოიპოვა სტუდენტთა თამაშების ორგზის გამარჯვებულის სახელი. დედაქალაქის ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ფიზკულტურელებმა, რომელთა კოლექტივს ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთს პირველს მიენიჭა „სპორტული კლუბის" სახელი. კარგად მუშაობენ მაუდ-კამვოლის კომბინატის, პოლიტექნიკუმის, № 1 სარკინიგზო სასწავლებლის ფიზკულტურული კოლექტივები, რომლებიც გასულ წელს დაჯილდოვდნენ საკავშირო სპორტკავშირის საპატიო სიგელებით.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვაზე, რომლის საქმიანობაში ჩაბმულია 86 უმაღლესი განათლების მქონე მეთოდისტი, ხოლო 495 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი ხელს უწყობს ამ სასარგებლო საქმის მშრომელთა ფართო მასებში დანერგვას.

სპორტის 41 სახეობაა დანერგილი დედაქალაქის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში. ჩვენს დედაქალაქში, სადაც ასობით მაღალკვალიფიციური მწვრთნელი მუშაობს, შედეგი ნაკლები ჩანს. ერთი მეტად არასასიამოვნო ტრადიცია დამკვიდრდა ჩვენს სპორტულ ცხოვრებაში: რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენები რატომღაც თავს არიდებენ როგორც საქალაქო, ისე საქართველოს პირველობაზე მოწყობილ შეჯიბრებებს.

ამაზე და მთელ რიგ სხვა საკითხებზე ილაპარაკა ამას წინათ გამართულ თბილისის სპორტკავშირის მეორე კონფერენციაზე სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. რცხილაძემ.

მოხსენების შემდეგ კამათში პირველი გამოვიდა ლენინის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე მ. გეგელია, რომელმაც ილაპარაკა ამ რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის დარგში მოპოვებულ წარმატებებზე, ამხილა სპორტკავშირის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლიან ლენინის რაიონის ახალგაზრდობაში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვის საქმეს. მან კონფერენციას პირობა მისცა, რომ რაიონის ფიზკულტურელები სასახელოდ შეხვდებიან კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას.

ჩოგბურთელმა ი. რიაზანოვამ ილაპარაკა სპორტის ამ სახეობაში მოპოვებულ წარმატებებზე და აღნიშნა, რომ თბილისელმა ჩოგბურთელებმა უკანასკნელ წლებში მოიპოვეს მნიშვნელოვანი წარმატებები როგორც საერთაშორისო, ისე საკავშირო შეჯიბრებებში, მაგრამ მიუხედავად ხელსაყრელი ამინდისა, ჩოგბურთის კორტების ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ არ უფიქრიათ ბაზების მომზადებაზე, რაც საგრძნობლად შეაფერხებს საწვრთნელი მუშაობის დროულად დაწყების საქმეს.

ჭადრაკის საქალაქო სექციის თავმჯდომარემ ა. ჯაკობიამ ცოტა ილაპარაკა იმაზე, თუ რატომ ჩამორჩებიან დედაქალაქის მოჭადრაკეები წლების განმავლობაში. მან თავის გამოსვლაში უფრო მეტი ადგილი დაუთმო ზამთრის სპორტულ სახეობებს!

დედაქალაქში მძლეოსნობის განვითარების მდგომარეობას მიუძღვნა თავისი გამოსვლა ლ. გიორგაძემ, რომელმაც სთქვა, რომ დედაქალაქში არის ერთადერთი ბაზა — ლენინის სახელობის სტადიონი, რომელიც სპორტის ამ სახეობისადმი ახალგაზრდობის გაზრდილ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, ხოლო „ბურევესტნიკის" სტადიონი მოუწყობლობის გამო ჯერ კიდევ ვერ იღებს მძლეოსნებს. ამ ბაზაზე კი უნდა ჩატარდეს საკავშირო პირველობა მძლეოსნობაში და მასში მონაწილე საქართველოს ნაკრები გუნდი ახლავე უნდა გადიოდეს წვრთნას სწორედ აქ.

თბილისის განათლების განყოფილების გამგე თ. ეგაძე შეეხო საშუალო სკოლებში არსებულ მდგომარეობას. მან აღნიშნა მთელი რიგი სკოლების უყურადღებობა მოსწავლეთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვის საქმისადმი.

საკავშირო სპორტკავშირის პრეზიდიუმის წევრმა ვ. ნოვოსკოლცევმა ილაპარაკა იმ მნიშვნელოვან წვლილზე, რომელიც თბილისელ სპორტსმენებს შეაქვთ საბჭოთა სპორტის განვითარების საქმეში. მან გააკრიტიკა დედაქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციები, რომლებიც ნაკლებად იყენებენ ქალაქში არსებულ სპორტულ ბაზებს. 61-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილემ პ. ზვიადაძემ კონფერენციას უამბო სკოლის დირექციის, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ უმთავრესად ილაპარაკა თბილისის ფიზკულტურული ორგანიზაციის მუშაობაში არსებულ ნაკლოვან მხარეებზე. მან აღნიშნა, რომ დედაქალაქის 2.272 ორგანიზაციიდან ფიზკულტურული კოლექტივი ჩამოყალიბებულია მხოლოდ 852-ში და 1.380 ორგანიზაცია დარჩენილია ყოველგვარი ფიზკულტურული მუშაობის გარეშე. ამიტომაა, რომ ქალაქის მცხოვრებთა მხოლოდ 21 პროცენტი მეცადინეობს ფიზკულტურასა და სპორტში. ამხ. სიხარულიძემ ილაპარაკა მწვრთნელთა სუსტ მუშაობაზე, აღნიშნა, რომ 858 შტატიან ფიზკულტურულ მუშაკს, რომლებიც თბილისში მუშაობენ, მეტი სარგებლიანობა უნდა მოჰქონდეს, მაგრამ ეს ასე როდია. მან მაგალითისათვის დაასახელა მძლეოსნობა, სადაც 80 ხელფასიანი მწვრთნელი მუშაობს და უკანასკნელ ხანს მოწყობილ შეჯიბრებაში მათი აღზრდილებიდან მხოლოდ ერთმა აჩვენა სპორტის ოსტატის ნორმატივი. ამხ. გ. სიხარულიძემ ილაპარაკა აგრეთვე ტანვარჯიშის ჩამორჩენაზე, ამ სახეობაში ჩვენ წამყვანი პოზიციები გვეკავა, ხოლო ამჟამად სსრ კავშირის უძლიერეს ათეულში არც ერთი ქართველი სპორტსმენი არ შედის.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება, აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები. ქ. თბილისის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია გ. რცხილაძე.

### ბორჯომი

უკანასკნელ ხანს საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს სპორტულ და მასობრივ-ფიზკულტურულ საქმიანობაში. ამ წარმატებათა მოპოვებაში თავისებური წვლილი მიუძღვით ბორჯომის რაიონის სპორტის მოყვარულებსაც, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მათ შესაძლებლობებს და შევადარებთ მას რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ ფაქტიურად ჩატარებულ მუშაობას, ნათელი გახდება, რომ შეიძლებოდა მეტის გაკეთება.

ამ დღეებში ბორჯომში გამართულ სპორტკავშირის რაიონული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 86 დელეგატმა, რომელთა შორის მხოლოდ ექვსი ქალი იყო. კონფერენციაზე არ იყვნენ მთელი რიგი სოფლების, სკოლების ფიზკულტურული კოლექტივების წარმომადგენლები, უფრო მეტიც, კონფერენციას არ ესწრებოდა კოლმეურნეობათა არც ერთი თავმჯდომარე. ხოლო ჩამოსულთაგან ბაკურიანის „დინამოს" სამთო-სათხილამურო ბაზის დირექტორის ა. მხეიძის გარდა არავის გამოუთქვამს კამათში მონაწილეობის სურვილი, თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ არც სპორტსმენებს და ფიზკულტურის მასწავლებლებს შეუწუხებიათ თავი კონფერენციაზე გამოეთქვათ თავიანთი გულისტკივილი, ნათელი გახდება, რომ ეს ღონისძიება სათანადოდ ვერ იყო ორგანიზებული.

მომხსენებლის, სპორტკავშირის რაიონული საბჭოს თავმჯდომარის ნ. ორჯონიკიძის გამოსვლის შემდეგ გამოსული მოკამათენი ე. გედელმანი („განთიადის" რაისაბჭო), ლ. კურტანიძე („კოლმეურნის" რაისაბჭო), ვ. კოპლატაძე (შუშის ქარხნის პროფკომის თავმჯდომარე), ბ. არონიშიძე (დოსააფის რაიონული კომიტეტი), ა. მაისურაძე (რაიაღმასკომის თავმჯდომარე), რ. ნონიძე, (კომკავშირის რაიკომის მდივანი), გ. მინჯია (განათლების განყოფილების გამგე), ვ. გობრონიძე (პარტრაიკომის მდივანი) ყველა ქალაქიდან იყვნენ. ამიტომაც ძალზე ცოტა ითქვა სოფლის ფიზკულტურული კოლექტივების, სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, ისინი კი საკმაოდ ბევრია.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულთა უმეტესობამ თავიანთი რეგლამენტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმეს წარმატებათა ჩამოთვლას და მხოლოდ გაკვრით შეჩერდნენ ხარვეზებზე, იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ხელს უშლიან რაიონში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის აღმავლობას. არავის არაფერი უთქვამს მწვრთნელების, ფიზაღზრდის მასწავლებლების, სპორტსმენების, რაიონის ნაკრები გუნდების, ფიზკულტურის კოლექტივების ჩამორჩენის მიზეზებზე. უფრო მეტიც არც ერთი მათგანის მიმართ არ გამოთქმულა კრიტიკული შენიშვნა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წაღვერის, ციხისჯვრის, ტაძრისის სკოლებს, რომლებიც ახსენეს მხოლოდ ნიშნოსანთა გეგმების შესრულებისათვის. სამაგიეროდ, ბევრი ითქვა რესპუბლიკური სპორტკავშირის არასათანადო დახმარებაზე.

ბორჯომის რაიონს მდიდარი შესაძლებლობა აქვს, ჰყავს კარგი სპეციალისტები, არის მონდომებული ახალგაზრდობა, არის მხარდაჭერა რაიონის ხელმძღვანელთაგანაც, მაგრამ არ არის შეთანხმებული მუშაობა, საქმისადმი სიყვარული.

კონფერენციამ მუშაობის გარდაქმნის მიზნით, აირჩია საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა, სპორტკავშირის თავმჯდომარედ აირჩია მ. ლაზარევი.

## ჰოკეისტთა საერთაშორისო

ჰოკეისტთა ნოვოსიბირსკის საერთაშორისო შეჯიბრების ბოლო ტურისათვის შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ პირველი ადგილის მოპოვების შანსები რჩებოდა მხოლოდ ორ გუნდს — ნოვოსიბირსკისა და მოსკოვის დინამოელებს. მოსკოველებმა თავიანთი ბოლო თამაში ჩაატარეს ჩეხოსლოვაკიის „რუდე გვეზდასთან“, მძიმე ბრძოლაში დაამარცხეს იგი — 3:2 და დააგროვეს 4 ქულა. მათ კონკურენტებს ჰქონდათ 3 ქულა, მაგრამ ერთი ჩასატარებელი მატჩი გდრ-ს „დინამოსთან“. შეჯიბრების უკანასკნელ დღეს ნოვოსიბირსკელებმა ეს შეხვედრაც მოიგეს, გაასწრეს მოსკოველ თანაკლუბელებს და 5 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. მესამე ადგილზე გამოვიდა „რუდე გვეზდა“, რომელმაც ადრე დაამარცხა გდრ-ს „დინამო“ — 7:2.

## 1961 წლის ჩემპიონატი

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი გარკვეულ ინტერესს იწვევს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ეს დაიმსახურეს მოჭადრაკე ქალებმა, რომელთა გამოსვლები საკავშირო სარბიელზე თითქმის ყოველთვის თვალსაჩინო წარმატებებით აღინიშნება. ამიტომ საქართველოს 1961 წლის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელიც გასულ ხუთშაბათს დაიწყო თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, გაზრდილი ინტერესით სარგებლობს. ტურნირმა თავი მოუყარა 16 მოჭადრაკეს. ესენი არიან: მსოფლიო პირველობის პრეტენდენტი, საქართველოს ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, პირველთანრიგოსნები გ. ბუცხრიკიძე, დ. ღლონტი, მ. ნამორაძე, ნ. ნაჭყებია, ნ. მანველოვა, ა. ჩაიკოვსკაია, ს. ივანოვა, ქ. გოგიავა, (ყველა თბილისიდან), თ. ხუბაშვილი (თელავი), ო. შათირიშვილი (მახარაძის რაიონი), მეორეთანრიგოსნები ი. გედენიძე (ქუთაისი), ვ. ტატარინოვა (ბათუმი), ნ. დიატლოვა (სოხუმი), ნ. ფანქველაშვილი (გორი) და მესამეთანრიგოსანი ზ. კალანდარიშვილი (რუსთავი).

ადვილად შევამჩნევდით, რომ მონაწილეთა შორის არ არიან ოსტატი მ. ტოგონიძე და ე. კაკაბაძე. ისინი ამჟამად იმყოფებიან მოსკოვში და მონაწილეობენ „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს გუნდურ პირველობაში, როგორც საქართველოს წარმომადგენლები.

ჩემპიონატის სტარტზე (პირველ ორ ტურში) თავი ისახელეს გაფრინდაშვილმა, ჩაიკოვსკაიამ, ხუბაშვილმა და ივანოვამ — 2 ქულა თვითეულს. კარგად დაიწყეს თამაში გოგიავამ და გედენიძემაც, რომლებსაც 1,5-1,5 ქულა აქვთ.

ტურნირი 15 აპრილამდე გაგრძელდება.

## მსაჯობენ ბავშვები

ბათუმის ბავშვთა სპორტსკოლის დარბაზში მოეწყო საინტერესო შეჯიბრება მხატვრულ და სპორტულ ტანვარჯიშში, სადაც მონაწილეობდნენ სკოლის ყველაზე ნორჩი აღსაზრდელები — III-V კლასების მოსწავლეები.

შეჯიბრებისათვის მწვრთნელთა მიერ შედგენილ იქნა სპეციალური პროგრამა, მსაჯებად კი გამოყოფილ იქნენ ამავე სკოლის თანრიგოსანი სპორტსმენები. სპორტული დარბაზი ამ დღეს მთლიანად დაეთმო ბავშვებს, ხოლო მწვრთნელები და მასწავლებლები მშობლებთან ერთად მაყურებლების როლში იყვნენ.

მხატვრულ ტანვარჯიშში პირველი ადგილი დაიკავა ლ. ტიხონინამ, სპორტულ ტანვარჯიშში ბიჭებს შორის გაიმარჯვა ი. ალექსანდრიდიმ, გოგონათა შორის საუკეთესო იყო ა. ელინა.

**ა. კებაბჩიანი**

## კალათბურთი „ა“

## ასეთი მდგომარეობაა ქვეჯგუფებში

დამთავრდა „ა“ კლასის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების წინასწარი თამაშები ქვეჯგუფებში. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდებისათვის ბრძოლის უფლება შეინარჩუნა 8 გუნდმა. ესენი არიან რიგის სკა, ლენინგრადის „სპარტაკი“, ლენინგრადის „ბურევესტნიკი“, კაუნასის „ჟალგირისი“, მოსკოვის ცსკა, კიევის სკიფი, თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „დინამო“.

ბრწყინვალედ ჩაატარა ჩემპიონატის პირველი ეტაპი მოსკოვის არმიელთა კოლექტივმა, რომელმაც ქვეჯგუფში დაიკავა პირველი ადგილი და მოიგო ყველა კალენდარული შეხვედრა. რიგის არმიელთა გუნდმა წინასწარი ტურნირი ორი წაგებით დაამთავრა. ასეთივე შედეგი ჰქონდათ ლენინგრადის გუნდებს „სპარტაკსა“ და „ბურევესტნიკს“, მაგრამ უპირატესობა მიენიჭა ლატვიის კოლექტივს, ვინაიდან მას უკეთესი შედეგი ჰქონდა ლენინგრადელებთან შეხვედრებში.

ყველასათვის მოულოდნელად ფინალურ ტურნირში ვერ მოხვდა გასული წლის პირველობის პრიზიორი რიგის ქარხანა ვეფ-ის გუნდი. უძლიერესთა ტურნირში მონაწილეობის უფლება დაკარგა სვერდლოვსკის „ტრუდის“ გამოცდილმა გუნდმაც.

წარუმატებელი იყო მიმდინარე სეზონი ჩვენი რესპუბლიკის მეორე გუნდის — „ბურევესტნიკისათვის“, მან ტურნირი დაამთავრა ისე, რომ ვერ შეძლო ვერც ერთი მატჩის მოგება. სტუდენტთა კოლექტივმა წააგო შეხვედრები: ცსკასთან (46:68), კიევის სკიფ-თან (88:102), თბილისის „დინამოსთან“ (53:74), მოსკოვის „დინამოსთან“ (67:74), კიევის სკა-სთან (66:73), ვილნიუსის „სპარტაკთან“ (64:89) და ბაქოს სკიფ-თან (63:65).

ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესმა გუნდმა თბილისის „დინამომ“ თავის ქვეჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა. მან დაამარცხა მოსკოვის „დინამო“ (91:78), კიევის სკა (80:49), ვილნიუსის „სპარტაკი“ (90:68), ბაქოს სკიფი (72:65), თბილისის „ბურევესტნიკი“ (74:53) და წააგო ორი მატჩი — კიევის სკიფ-თან (65:66) და მოსკოვის ცსკა-სთან (62:65).

ქვემოთ მოგვყავს წინასწარი შეხვედრების საბოლოო შედეგები.

### პირველი ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| სკა რიგა | 7 | 5 | 2 | 5 |
| „სპარტაკი“ ლდ. | 7 | 5 | 2 | 5 |
| „ბურევესტნიკი“ ლდ. | 7 | 5 | 2 | 5 |
| „ჟალგირისი“ კაუნასი | 7 | 4 | 3 | 4 |
| ვეფი რიგა | 7 | 4 | 3 | 4 |
| „ტრუდი“ სვერდლ. | 7 | 3 | 4 | 3 |
| „კალევი“ ტარტუ | 7 | 2 | 5 | 2 |
| „ბურევესტნიკი“ ა-ატა | 7 | 0 | 7 | 0 |

### მეორე ქვეჯგუფი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცსკა მოსკოვი | 7 | 7 | 0 | 7 |
| სკიფი კიევი | 7 | 6 | 1 | 6 |
| „დინამო“ თბილისი | 7 | 5 | 2 | 5 |
| „დინამო“ მოსკოვი | 7 | 4 | 3 | 4 |
| სკა კიევი | 7 | 3 | 4 | 3 |
| „სპარტაკი“ ვილნ. | 7 | 2 | 5 | 2 |
| სკიფი ბაქო | 7 | 1 | 6 | 1 |
| „ბურევესტნიკი“ თბ. | 7 | 0 | 7 | 0 |



## სტუმრები ავიწროებდნენ მასპინძლებს

პირველ ადგილზე თბილისის, მეორეზე — ქუთაისის, მესამეზე — აჭარის ან აფხაზეთის სპორტსმენთა კოლექტივი: ასე ნაწილდებოდა ყოველთვის კლასიკურ მოჭიდავეთა გუნდების მიერ დაკავებული ადგილები „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს პირად გუნდურ პირველობაზე კლასიკურ ჭიდაობაში.

ეს ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა, მაგრამ თბილისის საჭიდაო დარბაზში ახლახან დამთავრებული შეჯიბრება არსებითად განსხვავდებოდა წინა წლებში ჩატარებული ჩემპიონატებისაგან.

ადრე, ზემოჩამოთვლილ გუნდებს გარდა არავინ იღებდა შეჯიბრებაში მონაწილეობას. ახლა კი „სპარტაკის“ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ამ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ლანჩხუთის, სამტრედიის, მახარაძის, რუსთავისა და ჭიათურის გუნდები. (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის კოლექტივს სახელს იცავდა კურორტ ბიჭვინთის მოჭიდავეთა გუნდი. თვითონ სოხუმიდან კი არც ერთი წარმომადგენელი არ ყოფილა).

გუნდების რაოდენობითმა ცვლილებამ დადებითად იმოქმედა ჩატარებულ ბრძოლათა ხარისხზეც. და თუ წინა წლებში ჩემპიონები თითო ოროლა შეხვედრის ჩატარებით ვლინდებოდნენ, ახლა მათ თავისი წონით კატეგორიის 10-17 მოჭიდავესთან ერთად უხდებოდათ პირველობისათვის ბრძოლა.

შეჯიბრების ყველაზე სასიამოვნო ფაქტორს მაინც პერიფერიებიდან ჩამოსულ სპორტსმენთა აქტიურობა წარმოადგენდა, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მახარაძელ მოჭიდავეთა მწვრთნელის გ. გოგუაძის აღზრდილები ტ. მორჩილაძე და ფ. ლომაძე.

ასპარეზობის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ — 17 წლის ტ. მორჩილაძემ (მჩატე წონა) 11 წუთსა და 35 წამში დაამარცხა სპორტის ოსტატი თბილისელი რ. გუშიანი, სპორტის ოსტატი ქუთაისელი გ. ჭეიშვილი და ექვსი შეხვედრიდან ხუთის მოგებით დამსახურებულად მოიპოვა „სპარტაკის“ 1961 წლის ჩემპიონობა.

წარმატებით აღინიშნა მეორე დებიუტანტის მახარაძელი ფ. ლომაძის გამოსვლაც ქვემძიმე წონის მოჭიდავეთა შორის. მეორე თანრიგოსანმა ჭაბუკმა დაამარცხა საკმაოდ გამოცდილი პირველთანრიგოსნები თ. ცინცაძე და ჯ. ჯაფარიძე (ორივე თბილისიდან), ქულებით წააგო სპორტის ოსტატ ი. ტულუშთან (ბათუმი) და გამარჯვებულის შემდეგ მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჭიათურელმა შ. ხვედელიძემ. მსუბუქ წონაში მონაწილე 14 სპორტსმენს შორის მეორე ადგილზე გასვლა ნიჭიერი სპორტსმენის სერიოზული გამარჯვებაა.

სამი დღის დაძაბული ბრძოლების შედეგად „სპარტაკის“ 1961 წლის ჩემპიონები გახდნენ: ვ. ხარაზოვი (თბილისი), ტ. მორჩილაძე (მახარაძე), ზ. თორაძე (თბილისი), ა. ჩიხლაძე (ქუთაისი), ი. მგელაძე (თბილისი), გ. მკრტიჩიანი (თბილისი), ი. ტულუში (ბათუმი), ნ. ერემეიშვილი (თბილისი).

**გ. ხამხონაძე**

* * *

**სურათზე:** ბათუმელი ულენტიხა და მაკალათიას (სოხუმი) შეხვედრის მომენტი.

## დუბლიორთა მატჩი

24 მარტს თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა ტაშკენტის „პახტაკორისა“ და თბილისის „დინამოს“ დუბლშემადგენლობათა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში.

მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:0 დინამოელთა სასარგებლოდ (ბურთები გაიტანეს ჟორდანიამ და წოწორიამ).

## მეხუთე პარტიის შემდეგ

საკმარისია თვალი გადავავლოთ მატჩებს მსოფლიო პირველობაზე, რომ ადვილად შევამჩნევთ ერთ თავისებურებას. მაგალითად, ლასკერ-კაპაბლანკას ორთაბრძოლაში გროსმაისტერები ჩააცივდნენ ესპანურ პარტიას, ალიოხინ-ეივეს მატჩში კი ფრანგულ დაცვას. მსგავს სურათს ვხედავთ ტალ-ბოტვინიკის მატჩ-რევანშშიც. ამ შერკინებაში „მოდაშია“ ნიმცოვიჩისა და კაროკანის დაცვა.

IV პარტიაში, რომელშიც ტალი თეთრებით იყო, გათამაშდა კარო-კანის დაცვა. ეს დებიუტი უყვარს ბოტვინიკს, რადგან მან გაუმართლა იმედები ვ. სმისლოვთან მატჩ-რევანშში და მ. ტალთან პირველ მატჩში. ჯერჯერობით ტალმა ვერაფერი მონახა მის საწინააღმდეგოდ. თუმცა ამბობენ მსოფლიო ჩემპიონს რაღაც აქვს მოძებნილიო. ამ საიდუმლოებას თითქოს ფარდა აეხადა IV პარტიაში, როცა თამაში თავიდანვე გაუკვალავი გზით წარიმართა. მაგრამ, როგორც პარტიის შემდეგ გამოირკვა, წარმოქმნილი გართულებების ინიციატორი იყო ბოტვინიკი, რომელიც იშვიათ მორალურ და თეორიულ მომზადებას ავლენს.

ტალი მოხდენილად უტევს ბოტვინიკის პოზიციას. მალე აქეთებს გრძელ როქს. მაგრამ მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ფხიზლობს. ტალის ერთი დაუკვირვებელი მანევრი და ბოტვინიკი ლაზიერების გაცვლით ენდშპილში გადადის. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ტალის „პარტიზანული“ თავდასხმა ლაზიერის ფრთაზე მომაკვდინებელია მოწინააღმდეგისათვის. მაგრამ ბოტვინიკმა უფრო ღრმად შეაფასა პოზიცია და ხარისხის დათმობით მტკიცედ დაეუფლა ინიციატივას. ბოტვინიკის პაიკები „ხოჭოებივით“ ამოძრავდნენ. ტალს დასჭირდა დიდი წინდახედულება, რომ მოეგერიებინა შეტევა. მან უკან დააბრუნა ეტლი მხედარში და სამი პაიკის დათმობით მიიღო საშიში გამსვლელი პაიკი. შანსები გათანაბრდა. პარტია გადაიდო. მაგრამ იგი არ განახლებულა. ტალმა, რომელსაც პარტიის გადადებისას მოგების იმედები ჰქონდა, ყაიმი შესთავაზა ბოტვინიკს. მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა მიიღო წინადადება.

V პარტიაში თამაში დაიწყო ნიმცოვიჩის დაცვით. გაკვირვებას იწვევს ტალის „ჯიუტობა“. სპეციალისტებსაც ვერ გაუგია რატომ თამაშობს იგი ისეთ დებიუტს, რომელიც არ იცის კარგად, არ გამოუყენებია საპასუხისმგებლო შეხვედრებში. ბოტვინიკმა ჩინებულად იცის ნიმცოვიჩის დაცვა და არაფერია გასაკვირი, რომ იგი დებიუტიდან უპირატესობით გამოდის. ასე მოხდა ახლაც. მე-11 სვლამდე პარტია გაგრძელდა III პარტიის მსგავსად. შემდეგ ბოტვინიკმა გააძლიერა თამაში. ტალმა მიიღო გამოყენებაზე ააგო შემდგომი თამაში ბოტვინიკმა. მან უარყო ტალის წინადადება დაზავებაზე. თანდათან თამაში გამარტივდა და უფრო გამოიკვეთა ტალის პოზიციის დეფექტები. ბოლოს მსოფლიო ჩემპიონი იძულებული გახდა დაეთმო პაიკი. პარტია გადაიდო, რომლის შეფასება გროსმაისტერებსაც გაუჭირდათ.

გუშინ გათამაშდა გადადებული პარტია. 73-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, მატჩ-რევანშის ანგარიშია 3:2 მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მ. ბოტვინიკის სასარგებლოდ.

# დამყარდა კავშირი

საბჭოთა კავშირის სპორტული ორგანიზაციების მრავალი ცდა — დაემყარებინათ კავშირი იაპონელ სპორტსმენებთან და მოეწყოთ მათთან საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები, ყოველთვის მიუღწეველი რჩებოდა საქმეში იაპონიის ხელისუფალთა ჩარევის გამო.

უკანასკნელ ხანს იაპონიის სპორტული ორგანიზაციების დაჟინებითი თხოვნის შედეგად მთავრობამ ნება დართო იაპონიის ოლიმპიურ კომიტეტს ეწარმოებინა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის შესაბამის ორგანიზაციასთან 1961 წელს სპორტული დელეგაციების გაცვლის საკითხებზე. მიღწეულია შეთანხმება, რომლის საფუძველზე მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირში ჩამოვლენ იაპონიის მძლეოსნები, ძალოსნები, ფეხბურთელები, ფრენბურთელები და ხუთჭიდელები.

იაპონიას ეწვევიან ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მძლეოსნები და ტანმოვარჯიშეები, იაპონელთა ინტერესი სპორტის ამ ორი სახეობით გამოწვეულია იმითაც, რომ მომავალი მასპინძლები, რომლებსაც ორივე სახეობაში საკმაოდ ძლიერი გუნდები ჰყავთ, ხშირად აგებენ ჩვენს სპორტსმენებთან ოფიციალურ შეჯიბრებებში და ახლა საკუთარ მოედანზეც სურთ სცადონ ძალები.

მიღწეულია შეთანხმება აგრეთვე მწვრთნელთა გაცვლის შესახებ რამდენიმე სახეობაში.





ბათუმში დამთავრდა ნორჩ ჩოგბურთელთა რესპუბლიკური შეჯიბრება (II ჯგუფი). სურათებზე: ტურნირში გამარჯვებულები, მარცხნივ: ბორჯომელი გოგონები — ნ. გობრონიძე და ნ. ნოზაძე, ი. ბიჭინაშვილი (რუსთავი).

ფოტო პ. კებებჩიანისა.

## კასპი

კასპის აქტივისტ ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა შორის ფართო თვითმოქმედებაა გაშლილი რაიონის ცენტრში მდებარე სპორტული ბაზის კეთილმოწყობისათვის, რომელიც ემსახურება „განთიადის“, „კოლმეურნის“, სკოლების, წარმოება-დაწესებულებათა ფიზკულტურულ კოლექტივებს როგორც სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ორგანიზაციის, ისე შეჯიბრებათა მოწყობის საქმეში.

რაიონის პარტიული და კომკავშირული ხელმძღვანელობა დიდ მზრუნველობას იჩენს სპორტული ბაზების კეთილმოწყობისადმი, ფიზკულტურულ კოლექტივებში რეგულარულად მუშაობენ სხვადასხვა სახეობათა სექციები, განსაკუთრებით ემზადებიან ახალი სეზონისათვის ფეხბურთელები. მარტის შუა რიცხვებიდან აქ გაიხსნება ფეხბურთის განყოფილება და მოეწყობა ფეხბურთის მსაჯთა სემინარები, გაიმართება მთელი რიგი საინტერესო შეჯიბრებები.

გ. ჩხიკვაძე

## ურთიერთ დაზვერვა

როგორც ცნობილია, ფეხბურთში მსოფლიო პირველობის შესარჩევ თამაშებში არგენტინელებმა უკვე მიაღწიეს წარმატებას და მოიპოვეს ფინალში თამაშის უფლება. ფინალში მონაწილეობა თითქმის უკვე გარანტირებული აქვს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდსაც, რომელმაც თავის ჯგუფში უკვე დაამარცხა ჩრ. ირლანდია (4 : 3) და საბერძნეთი (3 : 0), ამიტომ ორივე ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციებს უკვე აღებული აქვთ შორეული მიზანი.

გერმანელთა ცნობილმა მწვრთნელმა, „ბებერ მელად“ წოდებულმა ზ. ჰერბერგერმა თავისი გუნდის უკეთ მომზადების მიზნით საწვრთნელი მატჩი სანტ-იაგოში ჩილის ნაკრებთან ჩაატარებს.

მატჩი შედგება დღეს. გფრ-ს ნაკრები ევროპის პირველი გუნდია, რომელიც ასე ადრე იწყებს სადაზვერვო მოგზაურობას სამხრეთ ამერიკაში. „ბებერ მელას“ მიაჩნია, რომ ადგილობრივი ბუნებრივი პირობების გაცნობა და აკლიმატიზაცია დიდად შეუწყობს ხელს გერმანელებს საერთო მზადებაში.

ანალოგიური დაზვერვა აქვთ გადაწყვეტილი არგენტინელებსაც. მათი ნაკრები ივნისში ჩამოვა ევროპაში, სადაც შეხვდება პორტუგალიის, ესპანეთის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის გუნდებს.

## ე. ერერას შემცვლელი

მას შემდეგ, რაც ე. ერერა მილანის „ინტერნაციონალეში“ გადაბარგდა, „ბარსელონას“ საქმეები კიდევ უფრო ცუდად წავიდა. გუნდი გამოეთხოვა ესპანეთის ჩემპიონის წოდებას და უფრო მეტიც — კატალონელები იძულებულნი გახდნენ მეორე ადგილიც კი დაეთმოთ ბილბაოს „ატლეტიკოსათვის“. „ბარსელონამ“ ერთადერთი, მაგრამ მნიშვნელოვანი გამარჯვება მხოლოდ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მოიპოვა, მაგრამ ამან ვერ იხსნა გუნდის მეპატრონე, მსხვილი მეფაბრიკე მ. სანსი ბარსელონელთა რისხვისაგან.

„ბარსელონას“ მწვრთნელად მოიწვიეს წარსულში ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი პედრო ესკარტინი, რომელიც სათავეში უდგა ესპანეთის ნაკრებსაც. მას დიდი ხნის განმავლობაში არ უნდოდა მიეღო ასეთ მდგომარეობაში მყოფი გუნდი. მაგრამ ბოლოს მ. სანსის ოქრომ მაინც თავისი ჰქნა. პ. ესკარტინი თავისი ახალი მოვალეობის შესრულებას შეუდგება 1 ივნისიდან.

## კუბის პირველი ჩემპიონატი

მიუხედავად ფეხბურთის პოპულარობისა კუბაზე, აქ დღემდე არ ჩატარებულა ეროვნული ჩემპიონატი. თებერვლის ბოლოს კუბაში პირველად დაიწყო რესპუბლიკის ჩემპიონატი, რომელშიც მხოლოდ ჭაბუკთა გუნდები მონაწილეობენ. საყურადღებოა, რომ 18 წელზე უხნეს ახალგაზრდებს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება არა აქვთ. კუბის ექვს პროვინციაში გამარჯვებული კლუბები მიმდინარე წლის დასასრულს ჰავანაში გაითამაშებენ პირველობის დასკვნით ნაწილს.

## გ. სტაბილე პარაგვაელებთან

პარაგვაის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი რ. ნეგრი და ფეხბურთელთა კავშირის ხელმძღვანელობა სისტემატურად ეკინკლავებოდნენ ერთმანეთს გუნდის მსოფლიო ჩემპიონატისათვის მომზადების საკითხებზე. ასეთ პირობებში ნეგრიმ უარი განაცხადა ნაკრების მწვრთნელობაზე სწორედ იმ მომენტში, როცა გუნდი ჩილელებთან შეხვედრისათვის ემზადებოდა.

ნეგრის ნაცვლად პარაგვაელებმა მიიწვიეს გამოჩენილი არგენტინელი მწვრთნელი გ. სტაბილე.

△ **გდრ.** XIV საჭადრაკო ოლიმპიადისადმი ამოცანებისა და ეტიუდების შედგენის საერთაშორისო საჭადრაკო კონკურსმა ამას წინათ შეაჯამა მუშაობა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 31 ქვეყნის კომპოზიტორმა, სამსვლიან ამოცანებში ოქროს მედლები დაიმსახურეს საბჭოთა პრობლემისტებმა ზაგორუიკომ და ლოშინსკიმ, ვერცხლისა ვლადიმიროვმა, ბრინჯაოსი — ლოშინსკიმ. ოქროს მედლით აღინიშნა აგრეთვე საბჭოთა კომპოზიტორ გებელტის ამოცანა კოპერატიულ შამათზე.

△ **ჰოლანდია.** ქალთა შორის ქვეყნის ჩემპიონის სახელისათვის მატჩში ვრეკენმა დაამარცხა ტიმერი — 2,5:1,5.

△ **რუმინეთი.** რუმინეთის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატში, რომელშიც 16 მოჭადრაკე მონაწილეობდა, პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ოსტატებმა ტეოდორესკუმ და ნიკოლაუმ — 11,5 ქულა თვითეულს.

## რ. მიტიჩი—იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელი

ჩემპიონატის პირველი წრის დასასრულის შემდგომი ხანგრძლივი შესვენება იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციამ გამოიყენა მსოფლიო პირველობისათვის მზადების დასაწყებად. ბელგრადში ჩატარდა გამოჩენილი იუგოსლაველი და უცხოელ სპეციალისტთა თათბირი. პირველ რიგში დაისვა ახალი მწვრთნელის შერჩევის საკითხი, რომელიც არ უნდა იყოს დაკავშირებული რომელიმე კლუბთან, რათა მთელი თავისი ძალა მსოფლიო ჩემპიონატის მზადებას მოახმაროს.

ფედერაცია შეჩერდა წარსულში გამოჩენილ ფეხბურთელის რაიკო მიტიჩის კანდიდატურაზე. მიტიჩმა შეადგინა გეგმა, რომლის თანახმადაც იუგოსლავიის ფეხბურთში თვალსაჩინო ცვლილებები უნდა მოხდეს. პირველ რიგში, ახალ მწვრთნელს სურს ნაკრებში დააწინაუროს ახალგაზრდობა. „ჩემი საქმიანობა მეტად მძიმე იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატამდე მცირე დრო დარჩა. ჩილში რომ კარგად ვითამაშოთ, ამისათვის საჭიროა ჩვენს ახალგაზრდულ გუნდს გასაძლიერებლად ორი-სამი „დირიჟორი“ ჰყავდეს“.

ორი იოლი საერთაშორისო თამაში მაროკოსა და ტუნისთან, მიტიჩის აზრით, ხელს შეუწყობს იუგოსლავიის ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელებს შეეჩვიონ ერთმანეთს, მიიღონ გამოცდილება. ამას მოყვება სერიოზული საწვრთნელი მატჩი უნგრელებთან, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების „გენერალური რეპეტიცია“ იქნება. ასეთი საფუძვლიანი მზადების შემდეგ იუგოსლაველები ორ საწვრთნელ მატჩში შეხვდებიან პოლონელებს. კიდევ ერთი დამატებითი შეხვედრა აზიის ზონაში გამარჯვებულთან (იაპონია ან სამხრეთი კორეა), იუგოსლაველთათვის, რასაკვირველია, სათვალავში არაა ჩასაგდები.

რედაქტორი ი. უგულავა


# ხვალ!

საღამოს 6 საათზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახ. პოლიტიკური განათლების სახლის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. № 35) შედგება საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილებისა და საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პროპაგანდისა და აგიტაციის სექციის კულტურის უნივერსიტეტის მსმენელთა მეორე მეცადინეობა.

ლექციებს წაიკითხავენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი, თემაზე: „ქართველი ხალხის წვლილი მსოფლიო კულტურის საგანძურში“ და დოცენტი ბ. დოზორჯგინიძე თემაზე: „ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.



# დღეს!

„ბურევესტნიკის“ სტადიონი

ფეხბურთი

„დინამო“ (თბილისი)—„პახტაკორი“ (ტაშკენტი)

დასაწყისი 14 საათზე.

◆

28 მარტი

„კაირატი“ (ალმა-ატა) — „ლოკომოტივი“ (თბილისი)

დასაწ. 17 ს. 15 წ.


საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირი და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ლუბა ჩოგოვაძეს მისი მამის არკადი სერგის-ძე სარქისოვის გარდაცვალების გამო.


გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05490